მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო"–ს

ო ქ მ ი №1

ქ.მარნეული

04/ნოემბერი/2024 წელი

სხდომას ხელმძღვანელობდა – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე -ლელა მუმლაძე;
სხდომის მდივანი: - იულია დარბაიძე;
საბჭოს წევრები:
ამაიკ საიადიანი
ლევანი დარბაიძე
არტურ აკოფიანი;
შალალა ამირჯანოვა;
მურად მაისურაძე;
მუნიციპალიტეტის მერიის ადმინიატრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მამუკა შუბითიძე;
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კობა ჩხიტუნიძე;
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი - ლარისა გელაშვილი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს

მოისმინეს: საბჭოს სხდომა გახსნა და საბჭოს შემადგენლობა წარადგინა ბატონმა მამუკა შუბითიძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ განუმარტა საბჭოს წევრებს მათი უფლებამოსილებები, საჭიროება და ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მოსახლეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის თვითმართველობასთან, რათა ზუსტად იქნეს მიწოდებული და ასახული ყველა ის პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც ესაჭიროება მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

- ქალბატონმა ლარისა გელაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა და დეტალურად განმარტა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია და დაახლოებით იქნება - 6 მილიონი ლარი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებზე. მან დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო ასევე ხარჯვით ნაწილზე, პუნქტობრივად წარმოადგინა ბიუჯეტის ყველა ძირითადი პროგრამული მაჩვენებლები, ყურადღება გაამახვილა პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც, როგორც წინა წლებში, დაგეგმილია მნიშვნელოვანი საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბიუჯეტში სოციალური ფონდის ოდენობა, რათა განსაკუთრებული ზრუნველობა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ და ასევე დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობაზე. მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაა დაგეგმილი სოციალური და სხვა პრიორიტეტული პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქალაქ მარნეულში რუსთაველის ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსების საკითი, რაც გათვალისწინებულია 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით და მისი საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 7 000 000 (შვიდი მილიონი) მილიონ ლარს.

აზრი გამოთქვა: ლელა შუბითიძემ, ამაიკ საიადიანმა, მურადი მაისურაძემ, მათ ყურადღება გაამახვილეს ბიუჯეტის სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით არსებული ფინანსური სახსრების ოდენობებზე, მათ შორის იგეგმება თუ არა სერვისის გაუმჯობესება, ადმინისტრაციულ ერთეულებში დარჩენილი გზების მოპირკეთების სამუშაოები და სხვა სოფლის მოსახლეობისათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესება, რასთან დაკავშირებითაც კობა ჩხიტუნიძემ მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხების გადაჭრის გეგმების დამუშავების თაობაზე.

არტურ აკოფიანი - მიმაჩნია , რომ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისას ყურადღება არის გამახვილებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებების, მოსასვენებელი სკვერების, ახალგაზრდებში სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე, გზების, პარკირებისა და ინფრასტრუქტურის აღმშენებლობის პრობლემების მოგვარებაზე.

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით - საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ 2025 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს და აქვე განიმარტა რომ, მოწონებულია ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია.

სხდომის თავმჯდომარე: ლელა მუმლაძე

მდივანი; იულია დარბაიძე

წევრები:

ლევან დარბაიძე

შალალა ამირჯანოვა

ამაიაკ საიადიანი

არტურ აკოფიანი

მურადი მაისურაძე